Enguri attraction LLC
Digitally signed by Enguri attraction LLC
Date: 2023.01.30 15:52:01 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№7

ხელშეკრულება შედგენილია თბილისში 2023 წლის 30 იანვარს, ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან კვალიფიციური ელექტრონულიხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აძვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ – შპს „ენგური ატრაქციის“, დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“);

მეორეს მხრივ – შპს „კომპაუდის“ დირექტორის **კობა ბერაძის მიდნობილი პირი ნუგზარ ხიჯაკაძის (პ/ნ 01007003642)** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **”აუდიტორული მომსახურების“** ნასყიდობა, კერძოდ: შპს “ენგური ატრაქციის კაპიტალის ოდენობის განსაზრვრა”.

<u>გამარტივებული შესყიდვა.</u> - (CPV – 79212000)

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 150.00 (ასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია **ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში** განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება**,** და მიაწოდოს შემსყიდველს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შემდეგ მისამართზე - iraklitsereteli82@gmail.com.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოსში მოქმედი კანონმდებლობისა და ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურებაზე, მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დასახელება, ფასი და საერთო ღირებულება.

6.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს შპს ენგური ატრაქციის დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, რომლებიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს მომსახურების გაწევის ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესრულებულ იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ნებისმიერი, მის მიერ გაწეული უხარისხო მომსახურებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრა, მომსახურების გაწევის პროცესში ან/და არახარისხოვნად გაწეული მომსახურების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან **1 (ერთი) დღის** ვადაში;

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევის შემდეგ, შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადაგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი

ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და არსებობის შემთხვევაში - ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13.4. ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.6. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნას მხრისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) ჩაბარებიდან ან/და ხელშეკრულების მე-2 პუნქტში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გადაგზავნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. თუ რომელიმე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ან არაჯეროვნად ასრულებს მათ, მეორე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) გარდა მომსახურების გაწევის ვადების ან/და ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევისა, მიმწოდებლის მხრიდან დაფიქსირდება ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი პირობის დარღვევის 5 ან მეტი ფაქტი;

ბ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის ან/და ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამური ოდენობა მიაღწევს 10%-ს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

14.5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გასაწევი მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

16.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

<u>შემსყიდველი:</u>

შპს „ენგური ატრაქცია“
დირექტორი:

/ ნიკოლოზ ანთიძე /

თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №18.

ს/კ 404535071

ბ/კ TBCBGE2

ა/ა GE37TB7855336070100001

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს „კომპაუდი“
დირექტორი კობა ბერაძის მინდობილი
პირი: ნუგზარ ხიჯაკაძე
მის: ქ. თბილისი, ბაქრაძის ქნ

LTD kompaudi
Digitally signed by LTD kompaudi
Date: 2023.01.30 15:47:58 +04'00'

/ ნუგზარ ხიჯაკაძე /

ს/ს „საქართველოს ბანკი“

პ/ნ 202385169

ბ/კ BAGAGE22

ა/ა GE62BG0000000192631800

LTD kompaudi
Digitally signed by LTD kompaudi
Date: 2019.01.14 15:48:04 +04'00'

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
29336317481717

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170159575

რეგისტრაციის თარიღი

16.02.2017 წ

ნოტარიუსი: დავით მეფარიშვილი
მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 110
ტელეფონი: 2477029, 598262299, 593262299

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თექვსმეტ თებერვალს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N110-ში, მომმართა კობა ბერაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „კომპაუდი"ს (ს/კ:202385169) დირექტორი და დამფუძნებელი და სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ნუგზარ ხიჯაკაძეს. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად კობა ბერაძემ(დაბ.03.12.1960წ, პ/ნ №56001004825, მცხ. ხარაგაული ს. კიცხი 23–ე ქ. N 6) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თექვსმეტ თებერვალს მე, კობა ბერაძე (დაბ.03.12.1960წ, პ/ნ №56001004825, მცხ. ხარაგაული ს. კიცხი 23–ე ქ. N 6) შემდეგში „მარწმუნებელი", ამ მინდობილობით ნუგზარ ხიჯაკაძეს(დაბ.08.12.1969წ, პ/ნ №01007003642, მცხ. თბილისი დავით ბაქრაძის ქ. N 4 ბ. 21), (შემდეგში „რწმუნებული") ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის, როგორც შპს "კომპაუდი"-ს (ს/კ:202385169) დირექტორის და დამფუძნებლის სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი როგორც საზოგადოებაში, ისე ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, აწარმოოს საზოგადოების საქმეები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, წარადგინოს და მიიღოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, შეაგროვოს საბუთები, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს აუდიტორული მომსახურების შესახებ და მიღება-ჩაბარების აქტებს, განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

რწმუნებულს უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს/პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია უვადოდ.

მინდობილობა შედგენილია ექვსი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში, ხოლო ხუთი გადაეცა მარწმუნებელს.

ხელმოწერა _____

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია: 10 ლარი 31.7 მუხლის საფუძველზე, 2 ლარი 39.1 მუხლის საფუძველზე, სულ გადახდილია 12 ლარი;

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი